საქართველოს
პარლამენტი

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი

4600, ქუთაისი,
ირაკლი აბაშიძის ბაღი. 26

№ 6670/4-3

15 07 2015 წელი

GRASS
REFORMANDA

ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
წერილის რეგისტრაციის № 158
თარიღი: 17 07 2015 წ.

ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაციის" (GRASS)

ვიცე-დირექტორს

ფაქტ-მეტრის მთავარ რედაქტორს

ბატონ პაატა გაფრინდაშვილს

ბატონო პაატა,

თქვენი 06.07.2015 N14289 წერილის პასუხად გაცნობებთ რომ, „ეროვნული ბანკის შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების თაობაზე" (N07-3/444 21.05.2015) კანონპროექტის სრული პაკეტი ყველა გამომდინარე კანოპროექტით განთავსებულია საქართველოს პარლამენტის ვებ გვერდზე (www.parliament.ge) განმარტებითი ბარათით, შესაბამისი უწყებებისა და საპარლამენტო კომიტეტების დასკვნებით, კენჭისყრის შედეგებით, ასევე პირველი მოსმენისას გამოთქმული შენიშვნების ამსახველი ფურცლით, რომელშიც დეტალურად მოცემულია ყველა გამოთქმული შენიშვნა მათი გათვალისწინების მდგომარეობით.

აქვე გაცნობებთ, რომ კანონპროექტის დახვეწის მიზნით აქტიურად იყო და არის ჩართული მრავალი დაინტერესებული საერთაშორისო თუ სხვა ორგანიზაცია, (მაგალითისთვის ბიზნესომბუდსმენი, საქართველოს ბიზნეს ასოციაცია, საქართველოს ბანკების ასოციაცია, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების წარმომადგენლები თუ სხვა) რომელთა მოსაზრებები პირველი მოსმენისას მაქსიმალურად იქნა გათვალისწინებული და მეორე მოსმენით განხილვისათვის კანონპროექტის მომზადებაშიც ღებულობდნენ მონაწილეობას რაც ასახული იქნა კანონპროექტში. სწორედ მათი შენიშნების გათვალისწინებით თავდაპირველ ვარიანტთან შედარებით მნიშვნელოვნად შეიცვალა პროექტი.

სულ საერთო ჯამში კანონპროექტთა პაკეტზე პირველი მოსმენისათვის კომიტეტებისა და ექსპერტების მხრიდან გამოთქმული 67 შენიშვნიდან გათვალისწინებული იქნა 65 შენიშვნა მათ შორის მეორე მოსმენისათვის მეტად პრინციპული საკითხებზეც მაგალითისთვის მიღწეული შეთანხმებით ეროვნული ბანკის შიდააუდიტორული სამსახური განახორციელებს როგორც ეროვნული ბანკის ასევე სააგენტოს აუდიტს, რომელიც მოიცავს როგორც შიდა კონტროლის ასევე საფინანსო ანგარიშგებების და მათთან დაკავშირებული დოკუმენტების აუდიტს. ასევე ყოველწლიურად საფინანსო წლის დაწყებიდან არა უგვიანეს 4 თვისა ეროვნული ბანკი საქართველოს პარლამენტს წარუდგენს ანგარიშს ფულად-საკრედიტო, სავალუტო

პოლიტიკის განხორციელების შესახებ, ხოლო სააგენტო თავისი საქმიანობისა და საზედამხედველო პოლიტიკის განხორციელების შესახებ.

რაც შეეხება კანონპროექტის მიზნებს, ცვლილებების მიზანია საფინანსო-ზედამხედველობის ფუნქციების გაძლიერება, გამჭვირვალობის ზრდა და ზედამხედველობის მიმართ ნდობის ამაღლება. პროექტით მოხდება მონეტარული პოლიტიკის განხორციელებისა და დარგობრივი ეკონომიკური სპეციალიზაციის გამიჯვნა, რაც უზრუნველყოფს ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილებას. ასევე ცვლილელებით არამარტო საბანკო, არამედ მთლიანად საფინანსო სექტორის განვითარებაზე მოხდება უფრო მეტი კონცეტრაცია, რაც ხელს შეუწყობს დამატებითი ინვესტიციების მოზიდვას.

უნდა აღვნიშოთ რომ, კომიტეტი მიესალმება კანონპროექტის განხილვაში რაც შეიძლება მეტი დაინტერესებული მხარის ჩართვას და მიაჩნია, რომ მხოლოდ ასეთი ჩართულობითა და მჭიდრო თანამშრომლობით შეიძება კანონპროექტის ოპტიმალური ვარიანტის შემუშავება, მოხარული ვართ და მნიშნველოვნად მიგვაჩნია თქვენი ორგანიზაციის დაინტერესება რაც ხარისხობრივად აამაღლებს პროცესის გამჭირვალობას.

პატივისცემით,

თამაზ მეჭიაური

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის

თავმჯდომარე